ფილოსოფოსნი

ერთი დიდი ფილოსოფოსი იყო ყოვლითა სიბრძნით შემკული. დაუტევა სოფელი და განშორებულად უდაბნოდ წავიდა. მუნ დადგა და მარტო ილოცევდა სხვანი ექვსნი ფილოსოფოსნი იყვნეს დია ცოდნის მცდელნი და მოყვარულნი. სიტყვასა რასმე ზედა შესცილდენ, ვერა რომელი დაესკვნათ. წავიდნენ მის განშორებულისა ნახვად. ჰკითხეს, და მან დიდხანს ხმა არ გასცა, მერმე კიდევ ჰკათხეს

და მან ეგრე უთხრა:

– თქვენ ყოველი თქვენი მონაგები ბევრის საუბრისა სწავლისათვის წაგიგიათ, და მე ჩემი მონაგები და ეს სოფელი ამაზე დავუტევე, რომ დადუმებით ვიყო და არ გიუბნა.

მეტი არარა უთხრა, და სირცხვილეულნი წამოვიდენ უპასუხონი.

– მეც, თუ თქვენ მოგრჩები, არა ამ სოფელს, მას საუკუნოსაც

დავუტევებ და განვისვენებ.

თქვა ჯუმბერ არაკი: